# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 164

2018წ. "12" 09

ქ. თბილისი

**სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის" ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი ,,სასტუმრო მომსახურების", ,,სარესტორნო მომსახურების", ,,შედუღებისა" და ,,მასაჟისტ-რეაბილიტატორის" პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ**

დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, $33^1$-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად.

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალ ტალღას" (საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620) სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''ახალი ტალღისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 29 მარტის №50 გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ,,შედუღების" მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 51-ით (მის:ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შედუღება (1), (2) | მესამე | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274 | 38 | 53 | ქართული | 51 | ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154 |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.*

2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალ ტალღას'' (საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620) სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''ახალი ტალღისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ,,სასტუმრო მომსახურების" მეოთხე საფეხურის და ,,სარესტორნო მომსახურების'' მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გაეზარდოს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს შესაბამისად, 135-ით და 150-ით (მის:ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სასტუმრო მომსახურება (1), (2) | მეოთხე | მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში 112069 | 80 | 110 | ქართული | 105 | ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154 |
| | | | | | | | 30 | ქ. ბათუმი ლ. ასათიანისა და კ. მარჯანიშვილის ქუჩების კვეთა |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | სარესტორნო მომსახურება (1), (2) | მეოთხე | მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში 112068 | 80 | 110 | ქართული | 90 | ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154 |
| | | | | | | | 60 | ქ. ბათუმი ლ. ასათიანისა და კ. მარჯანიშვილის ქუჩების კვეთა |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.*

3. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალ ტალღას'' (საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620) სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''ახალი ტალღის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №27 გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ,,მასაჟისტ-რეაბილიტატორის" მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 30-ით (მის:ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მასაჟისტ-რეაბილიტატორი (1) | მეხუთე | მასაჟისტ-რეაბილიტატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090656 | 103 | 133 | ქართული | 30 | ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154 |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.*

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №17 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე

კარლო კერვალიშვილი

მდივანი

ანასტასია ქიტიაშვილი